





საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 ნოემბერი, საშაბათი, 1986 წ.
№ 225 (9386) • შპსი 3 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ფალავანი მსვლელობა



ბასსულ შაბათს თბილისის სპორტის სახალხოში შეკრებილი მასპურე-
ლი ხანტერესო (სპორტული ასპარეზობის მოწმე გახდა — გაიმართა
ქართულის აბსოლუტური პირველობა, ქართულ ქილაობაში. საქართ-
ლოს ფალავანის წოდება ზედინედ მეორედ მოიპოვა ქართველმა ჯემალ
დელიშვილმა (ვრცელ მასალას ამ ასპარეზობის შესახებ „ლელოს“
ხელის, ნომერში შემოგთავაზებთ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

პესარეს-

ინფორმაცია

● თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები 27 ნოემბრიდან ლენინ-
გრადში გამოვლენ სსრ კავშირის
ჩემპიონატის II წრის IV ტურის
მატჩებში. გზად ჩვენი გუნდი მო-
სკოვის „დინამოსთან“ ჩაატარებს
ამხანაგურ შეხვედრას. თბილისელ-
ებს ახალი კაპიტანი ჰყავთ — გია
სანაძე.

● თბილისის „დინამოს“ ოსტატ
ფეხბურთელთა კოლექტივი გუშინ
გამგზავრა ჩეხოსლოვაკიაში, სად-
აც 29 ნოემბრამდე რამდენიმე ამ-
ხანაგურ მატჩს გამართავს ამ ქვე-
ყნის გუნდებთან.

● გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ
ტარტუს უნივერსიტეტის წარმომად-
გენელები, რომლებიც საქართველო-
ს ფიზიკური კულტურისა და სპორ-
ტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-
ტუტს გალაცემენ ამავე ინსტიტუ-
ტის შეკვეთით დაშალბულ ელექტ-
ტროგამომთვლელ მანქანას სპეცი-
ალური აპარატურით. ამ აპარატის
დახმარებით გამოიკვლევენ სპორ-
ტსმენის ნერვულ-კუნთოვან ფუნქ-
ციონალურ მდგომარეობას.

● სსრ კავშირის თასის გათამაშე-
ბაში მონაწილეობის მისაღებად გუ-
შინ დუშანბეში გამგზავრა საქარ-
თველოს შვიდდღისანთა ნაკრები.
გუნდის შემადგენლობაში 10 სპორ-
ტსმენია.

● დღეს თბილისში დაიწება საქარ-
თველოს დია პირველობა თანამე-
დროვე ხუთდღიში. შეჯიბრებაში მო-
ნაწილეობის მისაღებად მოწვეულ-
ნი არიან აგრეთვე სომხეთის, აზერ-
ბაიჯანის, კრასნოდარისა და სტა-
ვროპოლის გუნდები.

სამაგო

საზრანგეთის ქალაქი პო მსო-
ფლიოს უძლიერეს სამბისტებს
მასპინძლობდა. ამ გრანდიოზული ტუ-
რნირის პირველი ნახევარი უკვე
დამთავრდა — გამოვლინდნენ მსო-
ფლიო ჩემპიონები ახალგაზრდებ-
ში. საბჭოთა კავშირის გუნდმა
ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა
— ათივე მოჭიდვემ ოქროს მე-
დალი დაიმსახურა.

ჩემპიონები ახალგაზრდებს შო-
რის წონითი კატეგორიის მიხედ-
ვით გახდნენ: ე. იმანეუსუპოვი, ა.

კალათბურთი

გაიმართა ევროპის კალათბურ-
თელ ქალთა საკლუბო ტურნირე-
ბის კენჭისყრა. გთავაზობთ საბ-
ჭოთა გუნდების თამაშების გან-
რიგს.

ჩემპიონთა თასი. მონაწილე-
ობენ: „დინამო“ (ნოვოსიბირსკი),
„პარტიზანი“ (იუგოსლავია), „პრი-
მიტი“ (იუგოსლავია), „უნივერსი-
ტატი“ (რუმინეთი).

4 დეკემბერი. „დინამო“ — „პა-
რტიზანი“
11 დეკემბერი. „დინამო“ —

ნაკრებიდან კანდიდატები

წლის საუკეთესო სპორტსმენი, ბუნდი, მწვერვალე

კობა კურტანიძე

სულ ორი წელიწადია, რაც კობა
კურტანიძე დიდ სპორტულ სარბი-
ელზე გამოჩნდა. ნიჭიერმა გორე-
ლმა ფალავანმა იმთავითვე მიიქცია
ქილაობის მოყვარულების, მწვრთ-
ნელ-სპეციალისტების ყურადღე-
ბა და ფეხიც მტკიცედ მოიკიდა
საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ნიშ-
ანდობლივია, რომ კობა ქვემდემე
წონით კატეგორიაში გამოდის, იმ
წონაში, რომელიც კარგა ხანია
„ქართულ კატეგორიად“ ითვლება.
შართლაც, საქართველოს ფალავ-
ნებს ყველაზე მეტი გამარჯვება
სწორედ 95 კგ წონით კატეგორია-
ში გამართულ შეჯიბრებებში აქვთ
მოპოვებული. სასიხარულოა, რომ
ესტაფეტა ღირსეულმა ათლეტმა
ჩაიბარა.

ლიდერობა დიდ პასუხისმგებლ-
ობას აკისრებს სპორტსმენს. მის
ყოველ გამოსვლას, წარმატებას თუ
წარუმატებლობას, სხვა საზომით
ზომივენ. კობამ ბრწყინვალედ ია-
სპარება წლის პირველ მნიშვნელო-
ვან შეჯიბრებაში — თბილისის
ტრადიციულ საერთაშორისო ტურ-
ნირზე: ქვემდემე წონაში ოქროს მე-
დალი მოიპოვა, აბსოლუტურ პირვე-
ლობაში — ვერცხლისა. ამ ტუ-
რნირში მსოფლიოს მრავალი ქვე-
ყნის უძლიერესი ათლეტები მონა-
წილეობდნენ, მაგრამ მთავარი ბრძო-
ლები ჯერ კიდევ წინ იყო.

კობა კურტანიძე, ისევე როგორც
საქართველოს ნაკრების სხვა წევ-
რები გულმოდგინედ ემზადებოდა
წლის მთავარი შეჯიბრებისთვის —
საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარ-
ტაკიადისთვის. მისგან ყველანი
გამარჯვებას, მხოლოდ პირველ აღ-

იხ. მე-2 გვ.



ათივე წონაში ოქროს მედალი

არხიპოვი, რ. ხრამოვი, ა. აუტლე-
ვი, ა. ლებედვი, რ. აგროვი, ს.
რიბოკონი, ტ. აბდულაივი, ი.
რუზაიანი და ნ. წაქაძე.
ახალგაზრდულ ჩემპიონატს მოზრ-
დილთა ტურნირი მოჰყვა. ხუთ
წონით კატეგორიაში უკვე გამოვ-
ლინდნენ მსოფლიო ჩემპიონები.
ესენი არიან: 52 კგ — ბ. ფაიზიევი,
62 კგ — ა. აქსიონოვი (ორივე —
სსრ კავშირი), 74 კგ — ჟ. განბო-
ლი, 90 კგ — ბ. ოლეგოვი (ორი-
ვე — მონღოლეთი), მძიმე — ვ.
შეალოვი (სსრ კავშირი).

74 კგ წონაში ვერცხლის მედა-
ლი საბჭოთა სამბისტმა ვ. შვიამ
მოიპოვა. 90 კგ წონით კატეგო-
რიაში ბრინჯაოს მედალი წილა-
დგდა გ. მძელურს, რომელმაც ერ-
თაღერთი ბრძოლა ბულგარეთის
წარმომადგენელთან გ. პეტროვთან
წაგო (ეს უკანასკნელი ვერცხლის
მედალს დაეფლავა).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ
ნ. წაქაძე მოსკოველი სამბისტი,
გ. მძელური კი მინსკელი.

ფილიპსურა

„პრიმიტი“
8 იანვარი. „უნივერსიტატი“ —
„დინამო“
14 იანვარი. „პარტიზანი“ —
„დინამო“
22 იანვარი. „პრიმიტი“ — „დი-
ნამო“
29 იანვარი. „დინამო“ — „უნი-
ვერსიტატი“.

ნახევარფინალური მატჩები გაი-
მართება 19 და 26 თებერვალს. ფინა-
ლური შეხვედრა ჩატარდება სა-
ლონიკში (საბერძნეთი) 12 მარტს.

ლილიან რონაპის თასი. მონ-
აწილეობენ: ტტტ (რიგა), „კრე-
მიკოვი“ (ბულგარეთი), „ფერა-
რა“ (იტალია).

10 დეკემბერი. ტტტ — „კრე-
მიკოვი“
7 იანვარი. „ფერარა“ — ტტტ
21 იანვარი. „კრემიკოვი“ — ტტტ
27 იანვარი. ტტტ — „ფერარა“
ნახევარფინალები — 18 და 25
თებერვალს. ფინალი — 11 მარტს
საფრანგეთში.

სპორტის სიახლე

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა
ფეხბურთო მიმოხილვა — „ფი-
ზიკური“ დახმარებით“. გთავა-
ზობთ ერთ ციტატას:
„...ისევე და ისევე გაცემული ვართ
მის გამო, რომ უმაღლესი ლიგის
პირველი საგზური დაისაკუთრა
„დინამომ“ — საქართველოს პატა-
ლა ქალაქის გუნდმა, უფრო ზუს-
ტად რომ ვთქვათ, სოფლის გუნდმა,
დაც მცხოვრები უფრო ნაკლებია,
...დღეს აღივლი სტადიონზე — ყვე-
ლაზე პატარა სტადიონზე, რომელი-
მაც კი პირველი ლიგის გუნდები
...მომოხდნენ. არსებითად აქ არაფე-
რა გასაკვირი, უფრო ზუსტად —
...უნდა იყოს გასაკვირი. უბრალო-
დეს ჩვენ შევიჩვიეთ იმ აზრს, რომ
...და ეს გუნდები შეიძლება იყ-
ვნენ გამარჯვებულთა და პრიზიო-
რთა შორის, მავანი და მავანიკი
არა“.

ქანალი ფინსვლა

დიდი ხანია მსოფლიოს საქალაქო-
ოლიმპიადის ჩვენთვის ისე უჩვე-
ულოდ არ წარმოგვარდება, როგორც
ახლა მიმდინარეობს არაბთა გაერ-
თიანებული სამხრეთის ქალაქ
დუბაიში. დიან, 8 ტურის შემდეგ
სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი მხო-
ლოდ VI ადგილზეა. ლიდერობენ
ინგლისის (23,5 ქულა), უნგრეთისა
და აშშ-ის (22,5-22,5), ბულგარეთის
(22) გუნდები. საფრანგეთისა და
საბჭოთა კავშირის ნაკრებებს 21-21
ქულა აქვთ.

VIII ტურის წინ მოქალაქეებმა
დამთავრეს გადღებულ პარტიე-
ბი. სსრ კავშირი — ისლანდიის
გუნდების მატჩი ყაიმით (2:2) და-
სრულდა. კარბოვი დაუზავდა ხიარ-
ტარსენს, ცეშკოვსკი დამარცხდა
პეტრუსონთან. ტურის დღეს კას-
პაროვმა სძლია ოლასონს, ვაპა-
ნიანი დაუზავდა არანსონს.

VIII ტურში ჩვენები შეხვდნენ

აშშ-ის მოქალაქეებს — 1:2. კას-
პაროვმა წაგო სეირავანთან, ყაიმით
დამთავრდა იუსუპოვ — კავალეკის
და ვაპანიანი — დლუგის პარტიები.
სოკოლოვ — კრისტინანსენის გა-
დაღებულ პარტიაში ყაიმია მოსა-
ლოდნელი.

ინგლისელები დაწინაურა ისლა-
ნდიის გუნდთან გამარჯვებამ (4:0).
ქალთა ოლიმპიადის VII ტურში
საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ინგ-
ლისის მოქალაქეები — 2,5:0,5,
VIII ტურში კი პოლონეთის ნა-
კრებთან ყაიმს (1,5:1,5) დასჯერდა.
ამ დღეს ჩინელებმა „შშრალი“ ან-
გარიშით (3:0) მოუგეს იუგოსლავი-
ის გუნდს და ჩვენს მოქალაქე-
ებს დაეწინაურა. ახლა თითოეულს
18-18 ქულა აქვს. ლიდერებს 2
ქულით ჩამორჩება პოლონეთის ნა-
კრები. 15,5-15,5 ქულა აქვთ უნ-
გრეთის, რუმინეთის და გერმანიის
გუნდებს.

წინ კიდევ 6 ტურია.



გუშინ VII ტურში ტალმა მოუგო პეკარეკს, რო-
ნანიშმა — არხიპოვს, კანცლერმა — მაქლონდს.
ყაიმზე შეთანხმდნენ აშმაიფარაშვილი — მაღანიუკი,
ცვიტანი — კაიდანოვი. გადამიდო უბილაფა — ზაი-
ჩიკის პარტია. გურგენიძე ისვენებდა. დღეს გაიმარ-
თება VIII ტურის შეხვედრები. (იხ. მე-4 გვ.).

კობა კურბანიძე

დასასრული

გილს გელოდით. ასეც მოხდა: კურბანიძემ აშკარად დაჯანჯა კონკურენტები და ოქროს მედალს დაეფუძლა. სპორტს თავისი კანონები აქვს: წარმატებას ზოგჯერ მარცხი მოსდევს. სპარტაკიადამდე კობამ ერთი მნიშვნელოვანი შეგირდობა წაგო — ევროპის ჩემპიონატზე მოგასვენებთ. 22 წლის სპორტსმენი, ევროპული ტურნირის დებიუტანტი მეხუთე ადგილზე გავიდა, ვფიქრობთ, ამ მარცხისაგან კურბანიძემ სწორი დასკვნა გამოიტანა. მოგესვენებთ, გამოცდილება დიდ ცოდნას გვძენს.

...სპარტაკიადა დამთავრდა. ორი თვის შემდეგ მოსკოვში კვლავ შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის უმლიერესი ძიულდისტები. ამჯერად მათ ქვეყნის ჩემპიონატის მედლებისთვის უნდა ებრძოლათ, კურბანიძეს — ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად. კობამ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონის რანგში დატოვა ტიტული, სწორედ მან მოუტანა საქართველოს გუნდს პირველი ოქროს ჯილდო. აი, რა თქვა მან შეგირდების დამთავრების შემდეგ: „თურმე ტყუილად არ ამბობენ, ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელია. საერთოდ, პირველ შეხვედრაში როგორღაც მიძინებდა ჰიდაობა, ამჯერადაც ასე მოხდა: ქვეყნულ ფეხბურთში ვერც ერთი ბრძოლა ვერ მოვიგე“.

სამაგიეროდ, ჩვენმა ფალავანმა ფინალში წმინდად დაამარცხა მოსკოველი იური პარშინი და ლამაზი ჰიდაობისთვის ოქროს მედალითა ერთად მაყურებელთა ტაშიც დაიმსახურა.

წლებადღეს სეზონში კურბანიძემ კიდევ რამდენიმე შეგირდობაში გამოიჩინა, მათ შორის გერმანია და იტალიის საერთაშორისო ტურნირებში. მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მთავარი სტარტები წინაა. გაისად მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება, მერე — ოლიმპიური თამაშები.

რაჟულთა შორის გაოთხა

მოსკოვში დამთავრდა გაზეთ „პოინერსკაია პრადას“ პრიზზე ქაბუკ სამბისტა საკავშირო პირველობა, რომელშიაც ზონებში გამარჯვებული 10 კოლეგები მონაწილეობდა. ფინალისტთა შორის გამოდიოდა ახმეტის გუნდი. ქართულმა ჯაბუკებმა საბოლოოდ IV ადგილი დაიკავეს. სპეციალისტებს მოეწონათ რომან უდილაური, რომელმაც ექვსივე შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო, მასვე გადაეცა პრიზი „საუკეთესო ტექნიკისთვის“. კარგად იჭიდავეს აგრეთვე ზ. ომარაშვილი და ზ. სამუკაშვილი, რომლებმაც ექვსიდან 5-5 შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს.

პიორბი ზილიბაშვილი, ახმეტის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

1986 წლის 21 ივნისს „ლელოში“ გამოქვეყნდა პროფესორ ვასილ ელაშვილის სტატია სათაურით: „რა არის ფიზიკური აღზრდის საშუალებები?“ რა გამოდის? გამოდის, რომ ფიზიკური აღზრდის საშუალებები ჩვენში დღემდე არ ყოფილა გარკვეული და ამ საქმეს ახლა იწყებს პროფესორი ვ. ელაშვილი და თანაც თითქმის საღისეობით გვექონდეს საქმე — წერილის აქვეყნებას საკითხის დასმის წესით. სტატიის დასაწყისშივე წერია: „ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკური აღზრდის საშუალებად და პრაქტიკულად ბოლომდე არ არის მეცნიერულად გადაწყვეტილი“.

თუ ეს ასეა, მაშინ რით შეიძლება აიხსნას საბჭოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ასეთი განვითარება? განა ეს შესაძლებელი იქნებოდა თეორიულად და პრაქტიკულად ფიზიკური აღზრდის საშუალებების მნიშვნელობათა შეუმცნებლად? ნუთუ ავტორი ფიქრობს, რომ საბჭოთა ფიზიკური კულტურა და სპორტი სტიქიურად ვითარდებოდა და ვითარდებოდა?

მეცნიერებაში დიდი ხანია გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ფიზიკური ვარჯიში და რა არის ფიზიკური აღზრდის საშუალებები. მაშ რა სურს ვ. ელაშვილს? უკვე გადაწყვეტილის „გადაწყვეტა“, დადგენილის „დადგენა“?

1953 წელს მოსკოვში გამოცემულ სახელმძღვანელოში — „ფიზიკური აღზრდის თეორია“, ფიზიკური ვარჯიშები და ფიზიკური აღზრდის საშუალებები (ფიზიკური ვარჯიშები და ფიზიკური აღზრდის საშუალებები არსებითად იგივე სახით დახასიათებულია 1960 და 1967 წლებში მოსკოვში გამოცემულ სახელმძღვანელოებში — „ფიზიკური აღზრდის თეორია“ და „ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდია“, ამიტომ ამ სახელმძღვანელოებთან ციტატებს აღარ მოვიტანთ და უფრო ძველ, 1953 წლის გამოცემას დავყვარებით. თუნდაც იმის საილუსტრაციოდ, რომ ეს საკითხი დიდი ხანია ჩვენს ლიტერატურაში გადაწყვეტილია და დასაბუთებულია შემდეგნაირად: „ფიზიკური ვარჯიშების ქვეშ უნდა გვესმოდეს ადამიანის მიზანმიმართული მოძრაობათა და მოქმედებათა შეგნებულ და სისტემატური განხორციელების პროცესი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის, განმტკიცებას, ფიზიკური უნარის განვითარებას, ცხოვრებაში აუცილებელი ჩვევებისა და ცოდნის შექმნას... ფიზიკური ვარჯიშები განხორციელებული სახით წარმოგვიდგენენ ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთ ფორმას“ (გვ. 60). აქვე, ფიზიკური ვარჯიშები გამოცხადებულია რა როგორც „ფიზიკური უნარის ყოველმხრივი განვითარების საშუალებანი“, ვითხოვლობით: „ასეთი საშუალებების რიცხვს მიეკუთვნებიან სისტემატური გამოყენებული ვარჯიშები ტანვარჯიშის, მოძრაობა თამაშების, სპორტის სხვადასხვა სახეობათა სახით, სპორტული თამაშების ჩათვლით და ასევე ტურნირები, ბუნების ბუნებრივი ძალები, პიფიუნური ფაქტორები (უწინარეს ყო-

ვლისა შრომისა და დასვენების რეჟიმი). ფიზიკური უნარის განვითარებაზე კეთილსმყოფელ გავლენას ახდენს ასევე ფიზიკური შრომა“.

მოცემული განსაზღვრების მიხედვით, ფიზიკური ვარჯიშები, როგორც ფიზიკური უნარის ყოველმხრივი განვითარების საშუალებები, შეადგენენ ვ. წ. სისტემატური ვარჯიშები ტანვარჯიშის, მოძრაობა თამაშების, სპორტის სხვადასხვა სახეობების (სპორტული თამაშების ჩათვლით) და ტურიზმისაგან დამოუკიდებლად, არამედ ისინი მათი სახით ვლინდებიან. ფიზიკური ვარჯიშების ცნება თავისთავში გულისხმობს ტანვარჯიშს, მოძრაობა თამაშებს, სპორტის სხვადასხვა სახეობებს, სპორტული თამაშების ჩათვლით, ტურიზმს. ამგვარად, მოძრაობა თამაშში, როგორც ფიზიკური ვარჯიშის ერთ-ერთი ფორმა,

რისთვის გამოსარჯა?

თავისი არსით ფიზიკური ვარჯიშს წარმოადგენს ამიტომ აბსოლუტურად სწორია საბჭოთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეცნიერებაში მტკიცედ დამკვიდრებული დებულება, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ძირითადი საშუალებებია მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშები. პროფესორი ვ. ელაშვილი მეტაფიზიკურად წყვეტს ფიზიკური ვარჯიშებისაგან მოძრაობა თამაშებს და კითხვას — რა არის ფიზიკური აღზრდის საშუალებები? — იძლევა უმართლესო პასუხს: „...ფიზიკური აღზრდის საშუალებებია უნდა ვთქვათ ფიზიკური ვარჯიშები და მოძრაობა თამაშები“ და ეს მიაჩნია მის ადმინისტრაციას, მოცემული სკიზოფრენიული ბოლომდე... მეცნიერულად დასაბუთებული.

არადა, ავტორი არაფერს წყვეტს და არც არაფერს ადგენს იმით, რომ შეუძლებელია გადაწყვეტილის გადაწყვეტა.

პატივცემული ვ. ელაშვილის აზრი — „თამაში ძირეულად განსხვავდება ფიზიკური ვარჯიშისაგან“ შეცდომაა და ეს პროფესორს არ ეხატება. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თამაში ძირეულად განსხვავდება ფიზიკური ვარჯიშისაგან. განსხვავებაა და განსხვავება. სულ სხვაა განსხვავება და სულ სხვაა ძირეული განსხვავება. მაგალითად, ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ნიჭით, უნარით, ხასიათით, ტემპერამენტით, მაგრამ ეს განსხვავება არ არის ძირეული განსხვავება. მაგრამ ძირეული განსხვავება, მაგალითად, მატერიალსა და ცნობი-

ერებს შორის, ცოცხალ ბუნებასა და არაცოცხალ ბუნებას შორის, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, როგორ შეიძლება ძირეულად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თამაში და ფიზიკური ვარჯიში? ისინი ხომ ადამიანის ქცევის ფორმებია? პირიქით, ისინი შინაგანად ერთმანეთსაც გულისხმობენ და გარკვეულ პირობებში ერთმანეთშიც გადადიან; მაგალითად, ფეხბურთში ვ. წ. სამატრო თამაშებს წინ უძღვის საკონტროლო თამაში და ამხანაგური შეხვედრა, რაც ერთდროულად თამაშისა და ვარჯიშის, რადგანაც გარკვეული მატერიალური მზადებისთვისაა გამოწვეული. ვიმეორებთ, ვარჯიშია იმით, რომ მოსაზრებულ ამოცანებს ისახავს, თამაშია იმით, რომ ასეთი შეხვედრები ფეხბურთის წესების სრული დაცვით (თამაშისაგან მსაჯები, მონაწილეობს 22 ფეხბურთელი, სათამაშო დრო 90 წუთია და სხვა) მიმდინარეობს, ე. ი. ამხანაგური შეხვედრები ერთ-სა და იმავე დროს ვარჯიშიცაა და თამაშიც. ერთი სიტყვით, ვარჯიში-სა და თამაშის ძირეულ განსხვავებაზე ლაპარაკი უაზრობაა.

ასევე გაუგებარია პროფესორ ვ. ელაშვილის მომდევნო დებულება: ვარჯიში და თამაში ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ ფიზიკური ვარჯიში — მოქმედებაა, თამაში კი ქცევაა. როგორც ვნახეთ, ვარჯიშსა და თამაშს შორის არავითარი ძირეული განსხვავება არ არსებობს. სტატიის ავტორი კი მათ ძირეულ განსხვავებას მოქმედებისა და ქცევის ძირეულ განსხვავებაში ხედავს. სინამდვილეში ასეთ განსხვავებაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ადამიანის მოქმედება და ქცევა ძირითადად ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება. ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი დ. უზნაძე თავის „ზოგად ფსიქოლოგიაში“ ეხება რა ნებელობას, როგორც ადამიანის ქცევის წყაროს, წერს: „ერთი სიტყვით, ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი კი არ არის მოქმედების თუ ქცევის წყარო, არამედ სულ სხვა რამ, რაც შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს კიდევ მას“ (დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 144).

მოყვანილ ციტატაში, როგორც ვხედავთ, პირდაპირ ნათქვამია: „...მოქმედების თუ ქცევის...“ ე. ი. მოქმედება და ქცევა ნახშირია ერთი და იგივე მნიშვნელობით. ახლა ვნახოთ რას წერს აკადემიკოსი რ. ნათაძე: „სწორად გაგებულ ადამიანის ქცევის ცნება — ქცევა, როგორც ადამიანის აქტიური (действительность) ცნება“ (რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1977, გვ. 597).

ემყარება რა ქცევისა და მოქმედების ცნებათა ასეთ გაგებას, რ. ნათაძე თუქმის ერთნაირი მნიშვნელობით სმართებს „ნებისმიერ ქცევას“ და „ნებისმიერ მოქმედებას“ (გვ. 576). რ. ნათაძე უნებნაყს: „ადამიანის მოქმედება მისი ქცევის (სწორად გაგებულ) საბჭოთა ფსიქოლოგიის - საგანს შეადგენს“ (გვ. 596). როგორც ვხედავთ, მოცემულ ციტატაში „ადამიანის მოქმედება“ და „მისი ქცევა“ ნახშირია ერთი და იგივე მნიშვნელობით.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ნებისმიერმა სტუდენტმა, რომელსაც ფსიქოლოგიის ელემენტარული კურსი გაუვლია, იცის, რომ ადამიანის მოქმედება და ქცევა ერთი და იგივეა.

სრულ გაუგებრობას იწვევს პროფესორ ელაშვილის შემდეგი დებულება: „რაც შეეხება ტანვარჯიშს, ტურიზმს და სპორტის სახეობებს, ისინი უფრო მეტადინეობის ფორმებია...“ გაკვეთილის გარკვეული ტიპებია“.

უწინარეს ყოვლისა, მოცემული დებულების შინაგანი ლოგიკის შესახებ გამოდის, რომ ტანვარჯიში, ტურიზმი სპორტის სახეობები არ ყოფილა, რადგან მათ და კავშირით აცალკევებს, როგორც სხვადასხვა ცნებებს.

ახლა თვით დებულების შინაარსზეც ვთქვათ. თუ ტანვარჯიში, ტურიზმი, საერთოდ სპორტის სახეობები, ერთად აღებული, არის ის, რასაც სპორტს ვუწოდებთ, გამოდის, რომ სპორტი, ელაშვილის მიხედვით, მეტადინეობის ფორმა, გაკვეთილის გარკვეული ტიპი ყოფილა. სპორტის ასეთად წარმოდგენა ნამდვილად ვ. ელაშვილის „ადმინისტრაცია“.

სპორტი რომ მეტადინეობისა და გაკვეთილის მომენტებს შეიცავს, არ შეიძლება აქედან იგი განვსაზღვროთ, როგორც მეტადინეობის ფორმა, გაკვეთილის გარკვეული ტიპი; ყოველი განსაზღვრება საგნის სპეციფიკისა უნდა გადმოისყვოდეს, მეტადინეობისა და გაკვეთილის მომენტები კი სპორტისთვის სპეციფიკური არ არის. მაგალითად, ადამიანისათვის, როგორც სოციალური არსებისათვის, დამახასიათებელია კვება, რომელიც მისთვის სპეციფიკური არ არის, რადგან სხვა ცოცხალი არსებებიც იკვებებიან. აქედან ვამომდინარე, ადამიანის განსაზღვრება, როგორც ისეთი არსების, რომელიც იკვებება, არ იქნება ადამიანის, მისი ცნების განსაზღვრება, რადგან იგი სრულიად არ ეხება და არ ასახავს ადამიანის არსებას. ასევე პროფესორ ვ. ელაშვილის განსაზღვრება: ტანვარჯიში, ტურიზმი, სპორტის სახეობები მეტადინეობის ფორმა, გაკვეთილის გარკვეული ტიპია, სრულიად არ ეხება სპორტის არსებას, და ამდენად, წარმოგვიდგება, როგორც ტრივიულიზმი.

როგორც ვხედავთ, პროფესორ ვ. ელაშვილის წერილში თითქმის არ არის არავითარი საკუთარი ბოზიტიური აზრი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მტკიცედ დადგენილ და გადაწყვეტილ დებულებების გამოვლენას, რომელიც საბჭოთა მეცნიერება მოგვცეს ფიზიკური აღზრდის საშუალებების შესახებ.

გაუგებარია, რა ამოძრავებდა ვ. ელაშვილს, როცა ამ სტატიას წერდა, მითუმეტეს, როცა მისი ამოქმედება განიზრახა? ბრამბიტონ ჯოლოსხაძე.

გუნდი და გუნდი... მოჯახთა

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

მა, ეს ფერადი ბუმბუ! ძალიან გინდა წინ გაივლო, მაგრამ შემოქცინა თუ არა ღოგის, წინ გადგარის ნაცვლად მალა ავარდობა და გულის გამაფრთხილებლად ნელა



ეშვება. არადა, დრო არ იცდის, მკაცრი მსაჯები წამშობით ხელში საჯაროიმო ქულებს ითვლიან. გოგონა გულს არ იტებს და ჭიუტად მიიწევს წინ, აი, უკანასკნელად

შემოკრა ბუმბუ და ესტაფეტა დედის გადისა, რომელმაც კალათბურთის ბურთი რამდენიმე ძელს უნდა აუაროს გვერდით. მერე მამის ჭერიც დადგება, ერთი ვნახოთ როგორ ფლობს იგი დრიბლინგის ხელოვნებას.

გულშემატკივრები, დიდებიც და პატარებიც, ერთ ამბავში არიან, თავისიანებს ამხნევებენ და თვითონც სტარტისთვის ემზადებიან. აი, პირველ ტურში გამარჯვებული დადიანძეების ოჯახიც. როგორც ადრე ჰიდაობდა, მადლენა სპორტის ოსტატი ყოფილა ხელბურთში.

ასეთ შეგირდობაში პირველად სამ წლის წინ გამოვედით და ძალიან მოგვეწონა, მაგრამ მერე აღარ გამოართულა და ამან ძალიან დაგვწყვიტა გული. შეგირდობები განახლდა, რომ გავიგეთ, ძალიან გავგებარდა. უმეროსებიც და უფროსებიც ხალხისთ ვიკრებებით სასაბურთოდ.

უმცროსი დადიანძეებისთვის აღარაფერი გვიკითხავს. რუსლანს, „შეგარდენს“ ფეხბურთელთა გუნ-

დის ბავშვთა გავლენს წერსა და დედის კვალში ჩამდგარ მამუკას (მასაც ხელბურთი იტაცებს) სახეზე ეტყობოდათ, რომ საოჯახო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად ხვეწნა არ ჰქონდათ.

დარბაზში ქრამულმა იმატა. დაიწყო ასპარეზობის ყველაზე მხიარული ნაწილი. ტომარაში ჩამდგარი დედები ხტუნა-ხტუნვით მიიწევენ ფინიშსაკენ. შემდეგ უცნაურ კუმბზე შემდგარი მამები „სპრინტი“ იწყებენ. ვინ გაიმარჯვა? სურგულაძეების ოჯახმა. იყიზაღეს გველეხიანებმა და ვანიშვილებმა.

უყურადღებოდ არც „მწვრთნელები“ დარჩენილან. საუკეთესო გუნდის მომზადებისათვის დაგროვდნენ 97-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი ლ. ზაალაშვილი და პედაგოგ-ოჯახის ზატორი გ. იავლივი. საქარხნო რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ი. ნემსიფერძინიძე მაღალმა გაილაშქრა შეჯიბრების მონაწილეებს და მომავალ სტარტებზე მიიბატიცა ისინი.

აი, ასე მზიარულად ჩატარდა ამ დღეების დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოთა გაერთიანების სპორტულ დარბაზში გამართული შეჯიბრება „მთელი ოჯახით — სტარტზე“. იმ დღეს არც გაერთიანების სტადიონი და რა-



ა. ვაჩიანის ფოტო

იონის სკოლების სპორტული დარბაზები გამცდარა — მოსწავლეები მძლეოსნობაში, მინიფეხბურთსა და კალათბურთში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ა. დადიანი

შახმატო

უპაღლავი

ლიგა

21-22 ნოემბერს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო, 30-ე ტურის მატჩები.

„დინამო“ (კიევი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 5:3 (1:2). გოლები: მახალიჩენკო — 4, დემიანენკო (დინამო), დმირიევი — 2, სალევსკი („ზენიტი“).

გაფრთხილებს ლენინგრადელი ფეხბურთელები სტეპანოვი და დავილოვი.

დუბლიორები — 3:2.

„დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ 6:0 (2:0). ამ მატჩში ბოროდინმა 4 ბურთი გაიტანა, კოლოვანოვმა და დობროვოლსკიმ — თითო.

დუბლიორები — 2:0.

„სპარტაკი“ — „ნეფთჩი“ 4:0 (4:0). ბაქოელთა კარში პირველ ტაიმში ბურთები გაიტანეს ერიომენკო, ნოვიკოვმა, რუდაკოვმა და როდონოვმა (პენალტი).

გაფრთხილებს „ნეფთჩის“ ფეხბურთელი ბელიალოვი.

დუბლიორები — 6:0.

„დინამო“ (მინსკი) — „ჟალგირისი“ 7:2 (4:1). გოლები: სოკოლი, კონდრატიევი-3, ზიგანტოვიჩი, ალენიკოვი, როდნეიკო (დინამო), პანკრატევი, ნარბეკოვასი (ჟალგირისი).

გაფრთხილებს ივანუსკასი („ჟალგირისი“), შირაკი („დინამო“).

დუბლიორები — 1:0.

„ჰაიარათი“ — „მეტალისტი“ 3:2 (2:2). გოლები: კარაჩუნი, მასლოვი, ფეხლევაძე (ჰაიარათი), კამარაძე, ტარასოვი („მეტალისტი“).

დუბლიორები — 2:2.

უმაღლესი ლიგაში სულ ჩასატარებელი დარჩა 4 მატჩი:

25 ნოემბერი
„ზენიტი“ — „დინამო“ კ.

სტატისტიკონის

ბლოკნოტები

29 ნოემბერი
„დინამო“ კ. — „დინამო“ კ.
8 დეკემბერი
„დინამო“ კ. — „შახტიორი“
7 დეკემბერი
„დინამო“ კ. — „დინამო“ კ.

● **განვლილ** ტურში გატანილი იქნა ბურთების ყველაზე მეტი რაოდენობა მიმდინარე ჩემპიონატში — 40.

● **გომარადობა** დავაში წინაა მოსკოვის „დინამოს“ თავდამსხმელი ა. ბოროდინი, რომელმაც 21 ბურთი გაიტანა. 17-17 ბურთი გაიტანეს ლენინგრადელი ფეხბურთელები სტეპანოვი და დავილოვი.

● **13 ტური** დაუმარცხებლად იბრძვის მოსკოვის „დინამო“, 12 — „სპარტაკი“.

გატარებულის ცხრილი

დუბლიორთა შედეგანაწარმო

მდგომარეობა 25 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
„დინამო“	30	22	4	4	78-32 48
„სპარტაკი“	30	21	5	4	77-26 47
„ჩერნომ.“	30	15	7	8	51-38 37
„შახტიორი“	29	14	7	8	45-33 35
„დინამო“ კ.	26	14	6	6	42-32 34
„დინ.“ თბ.	30	13	6	11	49-43 32
„ზენიტი“	29	12	8	9	51-44 32
„დინ.“ მს.	29	9	12	8	38-33 30
„დინამო“ მ.	28	12	5	11	42-31 29
„ჟალგირ.“	30	10	6	14	32-36 26
„ტორპე.“	30	9	8	13	39-44 26
„არარატი“	30	10	5	15	32-44 25
„მეტალის.“	30	7	11	12	34-41 25
„ჰაიარათი“	30	7	7	16	27-58 21
„ნეფთჩი“	30	3	7	20	21-74 13
„ტორპ.“ კ.	30	4	4	22	19-68 12

მდგომარეობა 25 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
1. „დინამო“ (მოსკოვი)	28	14	10	4	44-23 38 (-18)
2. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	30	14	9	7	52-21 37 (-23)
3. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	29	12	9	8	44-33 33 (-25)
4. „დინამო“ (თბილისი)	30	12	9	9	36-36 33 (-27)
5. „დინამო“ (კიევი)	26	11	10	5	48-30 32 (-20)
6. „შახტიორი“ (დონეცკი)	29	11	9	9	39-34 31 (-27)
7. „ჰაიარათი“ (ალმა-ათა)	30	11	8	11	33-39 30 (-30)
8. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	30	11	8	11	32-37 30 (-30)
9. „ტორპედო“ (მოსკოვი)	30	10	11	9	31-28 30 (-30)
10. „დინამო“ (მინსკი)	30	10	8	12	37-40 28 (-32)
11. „დინამო“ (დნეპროპეტროვსკი)	30	8	12	10	41-41 28 (-32)
12. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	30	9	9	12	21-25 27 (-33)
13. „ნეფთჩი“ (ბაქო)	30	8	12	10	33-38 26 (-34)
14. „არარატი“ (ერევანი)	30	8	10	12	27-44 26 (-34)
15. „ჩერნომორეცა“ (ოდესა)	30	8	7	15	29-37 23 (-37)
16. „ტორპედო“ (ქუთაისი)	30	5	7	18	24-60 17 (-43)

მდგომარეობა 25 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
1. „დინამო“ (მოსკოვი)	28	14	10	4	44-23 38 (-18)
2. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	30	14	9	7	52-21 37 (-23)
3. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	29	12	9	8	44-33 33 (-25)
4. „დინამო“ (თბილისი)	30	12	9	9	36-36 33 (-27)
5. „დინამო“ (კიევი)	26	11	10	5	48-30 32 (-20)
6. „შახტიორი“ (დონეცკი)	29	11	9	9	39-34 31 (-27)
7. „ჰაიარათი“ (ალმა-ათა)	30	11	8	11	33-39 30 (-30)
8. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	30	11	8	11	32-37 30 (-30)
9. „ტორპედო“ (მოსკოვი)	30	10	11	9	31-28 30 (-30)
10. „დინამო“ (მინსკი)	30	10	8	12	37-40 28 (-32)
11. „დინამო“ (დნეპროპეტროვსკი)	30	8	12	10	41-41 28 (-32)
12. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	30	9	9	12	21-25 27 (-33)
13. „ნეფთჩი“ (ბაქო)	30	8	12	10	33-38 26 (-34)
14. „არარატი“ (ერევანი)	30	8	10	12	27-44 26 (-34)
15. „ჩერნომორეცა“ (ოდესა)	30	8	7	15	29-37 23 (-37)
16. „ტორპედო“ (ქუთაისი)	30	5	7	18	24-60 17 (-43)

შახმატო

ლიგა

23 ნოემბერს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის ბოლოსწინა ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

1-XII ადგილები

„მადნეული“ (ბოლნისი) — „ამირანი“ (თბილისი) 3:1, „მეტალურგი“ (ხუტაფონი) — „სოლონი“ (განა) 0:1, „მდინარე“ (წყალტუბო) — „კახეთი“ (თელავი) 2:0, „შეგარდნი“-სპი (თბილისი) — „სამეგრელო“ (ხობი) 3:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:2, „ივერია“ (ხაშუ) — „ნეგრისი“ (ცხაქაია) 5:3.

XIII-XVIII ადგილები

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:1, „სპარტაკი“ (თერჯოლა) — „იმერი“ (თბილისი) 4:2, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „სალონი“ (გეგუქორი) 3:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სქერი“ (წყალენიხი) 2:2, „დინამო“ (გაგრა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2.

თავისუფალი ჟიჟარა

პირველი ტურის, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი — ასეთია ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდებული ნაღვლი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში, რომელიც ახლახან გაიმართა თბილისში. აღსანიშნავია, რომ ამჯერად პრიზიორთა შორის ვერც ერთი თბილისელი ვერ ვხვდებით. წარმატებას მიაღწია 19 წლის ონის რაიონის სოფ. ლევის მკვიდრმა ანზორ ცოგორიძემ. ანზორმა ასეთ საპასუხისმგებლო შეგირებში პირველად მიიღო მონაწილეობა და თავიც გამოიჩინა — 5 შეხვედრიდან 4 წმინდად მოიგო, ქულებით დაამარცხა ამ შეგირების მრავალწლოვანი გამარჯვებული, ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი, მინსკელი რ. კატაივი და პირველი ადგილი დაიკავა. 74 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა სოხუმელი პაატა ხუციძე. 68 კგ-ში და მძიმე წონაში შესაბამისად მესამე საბრძოლო ადგილები დაიკავეს კასპელმა გოჩა გაბაძემ და ხარაგაულელმა ზვიად ფირაიშვილმა.

გუნდი შეგირებისთვის შოამზადა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თამაზ გოგოლაძემ.

მოკლულ

თბილისის პირველი ნაკრები გუნდის ფრენბურთელებმა, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს, ბათუმში დათმობიებული საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფი მოიპოვეს, თბილისის მეორე ნაკრები II ადგილზე გავიდა. აჭარის წარმომადგენლებმა III საპრიზო ადგილი მოიპოვეს. სულ ჩემპიონატში რვა გუნდი მონაწილეობდა.

საბრძოლა პაპიშვილის

თბილისის საკმაოდ რთული სისტემით ტარდება, რომელიც ყოველგვარ შემთხვევითობას გამოიწვევს. ორი დღის განმავლობაში სპორტსმენები ორჯერ ასრულებენ ვარჯიშს, ჯამლზე შედეგები, ორჯერა ფინალისთვის გინაობა და შემდეგ ეწყობა ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი.

ასეთივე წესით გაიმართა კიევში ქვეყნის თასის წევრადგული გათამაშების ნახევარფინალიც, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უკრაინის, მოლდავიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მსოფლიო ლეგებმა. შეგირებში პირველ ექვს ადგილზე გასულ სპორტსმენებს ფინალის საფურცელი ეძლეოდათ, ოღონდ იმ პირობით, თუ სპორტის ოსტატის ნორმატივის შესატყვის შედეგებს აჩვენებდნენ.

სერპილი პირთა, შედეგი?

სერპილი სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც წარმატებებს სტუდენტობის წლებში დაწყებული მეცადინეობით ვერ მიაღწევს. ის კი არაა და, დაოსტატებული მოცულობებიც კი იმდენად არაა, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპორტულ კარიერასაც გამოეთხოვონ. ასეც რომ არ იყოს, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებში ცურვის, როგორც სპორტის სახეობის, დანერგვა ძალიან ჰერს, ან თითქმის შეუძლებელია, რადგან აუზები მხოლოდ საქართველოს პოლიტექნიკურ ინჟინერ და ფიზკულტურის ინსტიტუტებშია. სწორედ ამიტომაც, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში შეგირებებში მოცურავეთა გამოყვანა რომ უჭირთ. ასეთი დაბრკოლების მიუხედავად, რესპუბლიკური უნივერსიტეტი მდის პროგრამით გათვალისწინებულ მოცურავეთა შეგირებში, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზში გაიმართა, 14 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები გამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ ისეთი არასპორტული სასწავლებლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ცურვაში, როგორც კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, უცხო ენებისა და თეატრალური ინსტიტუტების გუნდები. ამ სასწავლებლებს შეგირებებში მონაწილეობის იმდენად დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ სასპარტეო თითქმის ყველა გამოიყვანეს; ვისაც 100 ან თუნდაც 50 მეტრის გატარება შეეძლო, მართალია, შეგირების ბევრმა მონაწილემ დისტანცია ვერ დაამთავრა, ან უთანხმოდ დარჩა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უნივერსიტეტში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

შეგირებებში ბევრი „ნამდვილი“ მოცურავეც გამოვიდა, მათ შორის იყვნენ უკანასკნელი რესპუბლიკური ჩემპიონატის პრიზიორები და საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრებიც. რით გაგვიზარეს მათ? სამწუხაროდ, ვერაფრით. მართალია, საპრიზო ადგილები მოიპოვეს, მაგრამ, საკითხავი ისაა, როგორი შედეგები.

როგორც ყოველთვის, ძალიან სუსტად იასპარეხეს ქალებმა. მათგან მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ალიონა მარგიევამ (200 მეტრზე კომპლექსური ცურვაში) და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მიაი მოლიშევამ (100 მეტრზე გულაღმა) შეძლეს I თანხები შედეგებით გამარჯვება. დანარჩენი ჩემპიონები კი მეორე თანხების ნორმატივებს ვერ გასცდნენ. თანაც, 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში მხოლოდ მარგიევა ასპარეზობდა, 200 მეტრზე გულაღმა და 400 მეტრზე კომპლექსური ცურვაში ორი გამოვიდნენ სპარტაკი, 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კი საერთოდ არავინ გამოსულა. ერთი სიტყვით, ის, რომ სტუდენტი სპორტსმენი ცურვაში შესაძლებელი ჩამორჩება, ამ უნივერსიტეტში ნათლად გამოჩნდა.

შეგირებებში ყველა აჯობა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა როლანდ ზედაგინამ, რომელმაც სამჯერ 100, 200 და 400 მეტრზე თავისუფალ სტილით ცურვაში სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგებით გაიმარჯვა. 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგები აჩვენებს მისმა თანაგუნდებებმა კახა პეტრიაშვილმა და ვალერი კეჭიძემ.

შეგირების მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. I ჯგუფში გუნდური პირველობა მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (1301,5 ქულა), მეორე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (1993), მესამე — თბილისის უნივერსიტეტის ნაკრები (896).

II ჯგუფში გაიმარჯვა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრებმა (526), III ჯგუფში — უცხო ენების ინსტიტუტის გუნდმა (490).

ნაკლავანებები მეორდება

როგორც მოქმედი სპორტკლუბის წევრები იყვნენ მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. კონფერენციის მონაწილეებმა ამხილეს სპორტკლუბ „ივერია“ მუშაობაში არსებული ნაკლავანებები.

„ივერია“ დღეს სულ 2430 წევრს აერთიანებს.

განსაკუთრებით გააკრიტიკეს სპორტკლუბის მუშაობა. ჩამორჩენას იწვევს ნაწილობრივ ობიექტური მიზეზები, ნაწილობრივ ყურადღებისა და პასუხისმგებლობის მოღუპვა, ცალკეულ საამქროებსა და განყოფილებებში სუსტი პრაქტიკული მუშაობა. იგრძნობა

სპორტული ინვენტარის ნაკლებობა, სპორტული სექციების ნორმალური მუშაობის ხელს უშლის სპორტდაზიანების უქონლობა, ცუდად მუშაობს საშაბი და გასახლელები. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ სტადიონს ჰიკრდება შტატისა და მომსახურე პერსონალი, რომ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნებს ვერ ამაყოფილებს მარტივი ტიპის მოედნები.

საქართველოში სპორტულ-მასობრივი მუშაობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით კონფერენციამ ბევრი საჭირო ღონისძიება დიასახ.

თამარ ზარიძე.



განვლილი გზის გადასახელები

თბილისი, ქადაგის სახელმწიფო. გ. გოგოშვილი VII მემორიალი. VI ტურის. გ. ზაიჩიკა მოუგო. ფ. ფიშერს (რუმინეთი), ბ. კანცლერმა (ფრანგული) — გ. კაიდანოვს (მოსკოვი), ხ. არხიპოვს (მოსკოვი) — ბ. გურგენიძეს. დაწვდნენ გ. მაღალი (რია), ა. პეკარევი (ჩეხოსლოვაკია), ე. უბილაძე, ტ. კაროლი (უნგრეთი) — ნ. მაქლონაძეს (ინგლისი). გადამოა. ცვიტან (იუგოსლავია) — მ. რომანიშინს (ლუგოვი) პარტია.

6 ტურის შემდეგ ზაიჩიკს, მაღალიუს, კანცლერს — 4-4 ქულა აქვთ, რომანიშინს — 3,5 (1), ტალს, ზ. აზმაიფარაშვილს — 3,5-3,5, უბილაძეს — 3, არხიპოვს, კაიდანოვს — 2,5-2,5, კაროლის, მაქლონაძეს — 2-2, ცვიტანს — 1,5 (2), გურგენიძეს — 1,5 (1), ფიშერს — 1,5, პეკარევს — 1.

და პეკარევი უკვე ოთხ-ოთხი პარტია რომ წააგებს.

თანამედროვე მოქალაქეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რეიტინგს (ძალის განმსაზღვრელი მაჩვენებელი), მის მომატება-შენარჩუნებაზე ზრუნავენ. ჩვენ უკვე წინასწარ ვიცით (ტურნირის კოეფიციენტის მიხედვით) რომელ მოქალაქეს რამდენი ქულა სჭირდება იმისათვის, რომ თავისი რეიტინგი შეინარჩუნოს. მაგალითად, ტალსმა 9,5 ქულა უნდა მოაგროვოს, რომ მის რეიტინგს (2600) არაფერი დააკლდეს, რომანიშინმა (2560) — 8,5, მაღალიუსმა (2535) — 8, უბილაძემ (2515) — 7,5, ზაიჩიკმა (2490) — 7, აზმაიფარაშვილმა (2470) — 6,5, გურგენიძემ (2440) — 6 ა. შ. ყველაფერი ეს მოქალაქეთათვის მემორიალში თამაშის თავისებური ორიენტირია.

ტურნირში საერთაშორისო დი-ლსტატის (9,5 ქულა) და ოსტატის (7), ბალის ნორმატივებია დაწესებული. პირველზე თვლი უჭირავთ მაღალიუსს, უბილაძეს (მათი თითო ბალი უკვე აქვთ), აზმაიფარაშვილს, მეორეზე — კანცლერს (მასაც ერთი ბალი აქვს). ყველა მათგანის შანსი რეალურია, განსაკუთრებით ფრანგული კანცლერისა, რომელმაც დღემდე ყველაზე მეტი (სამი) პარტია მოიგო.

შეჯიბრების მეორე ნახევარი უფრო მძაფრ ზრდილობას გვიჩვენებს. ამას გვაგვიანდებენ ფინიშის სიახლოვე.

თენგიზ გომრამაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

კიდეზ ართი ფარმაცია

განვლილი გზის



ვორონეჟში ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისადმი მიძღვნილი კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში კიდეზის, ეისის, ნილჩიკის, კოსტომინისა და ვორონეჟის 1973-1974 წლებში დაბადებულ სპორტსმენებთან ერთად თბილისის „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელებიც გამოდიოდნენ (მწვრთნელი მ. ასიტაშვილი, სკოლის დირექტორი გ. ბიჭიაშვილი). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კარგად იასპარეზეს და ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინადგეს პირველი ადგილი. მეორე ადგილი დაიკავეს ქიეველმა კალათბურთელებმა, მესამე ვორონეჟელებმა. ჩვენი გუნდის მოთამაშე დავით მახარაძემ საუკეთესო თავდამსხმელისთვის დაწესებული პრიზი დაიმსახურა.

შპი

მთავარი ხანძარები წინაა

ტალინში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის პირველი ეტაპი რუსულ შაშვში. 9-დან 6,5-6,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ვიტალი გაბრიელანმა (ბაქო) და ალექსანდრე შეარცმა (მოსკოვი). მათთან ერთად ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლას გააგრძელებს კიდევ 8 მოშაშე: ა. კანდაუროვი (მოსკოვი), მ. ნორე-ლი (კიშინიოვი), ა. ვასილესკი,

მ. კისილიოვი (ორივე — რია), ა. კონსტანტინოვი (ნიენი ტაგოი), გ. ნარჩუკი (მინსკი), ა. ივანოვი (კალუგა) და მ. რახუნოვი (კიევი). ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება. ადგილების განაწილებისას მხედველობაში მიიღება პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები. ჩემპიონატი 2 დეკემბერს დამთავრდება.

ლიდაროვს პრეტენდენტი

მინსკში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის მატჩი ასუჯრის შაშვში მსოფლიო ჩემპიონ ელენა ალტშულსა და პრეტენდენტ

ზოია სადოვსკაიას (ორივე — მინსკი) შორის.

VI პარტია მეტოქეებმა ყაიმით დაამთავრეს. წინაა სადოვსკაია — 4:2. VII პარტია დღეს, 25 ნოემბერს ჩატარდება.

პოლანდის ქალაქ გრონინგენში ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში 11 ტურის შემდეგ ლიდერობენ ალექსანდრე ბალიაინი (სსრ კავშირი) და რომ კლერკი (პოლანდია) — 7,5-7,5. მათ ნახევარი ქული ჩამორჩებიან ალექსანდრე დიბმანი (სსრ კავშირი) და იანის ვან-დერ ვალი (პოლანდია). მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი განტვარგი ლიდერებს ჩამორჩა.

მეცნიერება — სპორტს

ცნობილია, რომ მაღალი სპორტული მიღწევების მნიშვნელობა აქვს არა მარტო საფრთხელ მეცნიერებათა მეცნიერულ ორგანიზაციას, არამედ სწორედ მეცნიერულ გამოკვლევებზე დაფუძნებულ კვებასაც. დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი“ სწორედ კვებაში გარკვეულწილად ახალი სპორტული მიღწევების გამოუყენებელ რეზერვს ხედავს.

ის, თუ რით და როგორ იკვებება ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული ჩოგბურთელი ბორის ბეკერის, სულ ერთი რელია, ბავარიის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე გუსტავ ზიულერისათვის. წლის დამდეგს სპორტის მოყვარულთა კერპმა, რომელსაც უამრავი მიმბაძველი ჰყავს, მულოდნელად გამოუცხადა, ამიერიდან ხორცსა და ძეხვეულს პირს აღარ დაეყრებოდა. თავის მხრივ, ფერმერთა ლიდერმა მისივე განცხადება, კამპანის წამოვიწყებ „ხორცის დისკრიმინაციის“ წინააღმდეგო. მაგრამ ახლა მას შეუძლია მშვიდად იყოს: ჩოგბურთის ვარსკვლავი კვირაში ორჯერ ისევ შეეცემა ბიფშტექსს. „ბორისისათვის ეს აუცილებელია“, — ამბობს მისი მწვრთნელი გიუნტერ ბოში.

ძველ დროში მოქიდავები ხარისის სპილენძს, მორბენლებს კი ანტილოპის ხორცსა და თევზიკულს შეეცდებოდნენ (ლონესა და სიმარლეს შეგვიხსენო).

— ზოგიერთ სახეობაში უკვე მთლიანად გამოყენებულია წვრთნის მეცნიერული დასაბუთებული მეთოდების რეზერვები. — ამბობს კიოლის სპორტის ინსტიტუტის პროფესორი ვილდორ პოლმანი. — მხოლოდ სწორ კვებას, ესე იგი ორგანიზმის „ენერგიის მუხტით“ უზრუნველყოფას, აგრეთვე ძალის სწრაფად აღდგენის უნარს შეუძლია საწვრთნელი მეცნიერებათა ხარისხის გაუმჯობესება და სპორტსმენის შედეგიანობის გაზრდა.

რაც შეეხება „ენერგიის მუხტს“, დიდიანს მასზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ. ზოგიერთი მტკიცედ იცავდა ფორმულას: „ენერგია უდრის შედეგიანობას, ხოლო შედეგიანობა — წარმატებას“ და კალორიები ბრძოლად დევნაში უამრავ ხორცსა და კვერცხს ჰქამდა. მაგრამ კალორიები ჯერ კიდევ არ ნიშნავს ძალას და სისწრაფეს. სპორტსმენები იძულებული გახდნენ „ესწრაფათ“ ნახშირწყლების, ცხიმებისა და ცილების სწორად შეხამება. სამივე ეს კომპონენტი ენერგიის გამოშვებას ემსახურება, მაგრამ ამ ენერგიის მიღება და ხარისხი ისევე განსაზღვრულია, როგორც, ვთქვათ, მოპერისა და სარბოლი ავტო-

კვება და რეპორტაჟი

მანქანის ბენზინი. ნახშირწყლები ორგანიზმს ენერგიას „აწვდიან“ ოთხჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ცხიმები, რის გამოც უმნიშვნელოვანეს „საწვავად“ ითვლებიან მორბენლებისთვის, მოცურავეებისა და ევოლუციონისტებისთვის. ცხიმები კალორიებს შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავენ, მაგრამ შედეგიანობის მაინც აქვეითებენ ისეთ სახეობებში, სადაც განსაკუთრებული ამტანობა სჭირდება. ის იმიტომ ხდება, რომ ცხიმების წყის მნიშვნელოვანი რაოდენობის დაჭრის სჭირდება. კიდევ უფრო მეტი ჟანგბადი იხარჯება ცილებისაგან ენერგიის მისაღებად.

ფორმის შენარჩუნებისათვის

აი, რატომ არის, რომ საშუალოდ ითვლება ნორმა: 55 პროცენტი ნახშირწყლები, 30 პროცენტი ცხიმები, 15 პროცენტი ცილები. მაგრამ მორბენლებს მეტი რაოდენობით სჭირდებათ ნახშირწყლები, ძალისხმევა და მოქიდავები — ცხიმები და ცილები.

ვისაც სურს მუდამ სასურველ სპორტულ ფორმას იყოს, ცხიმებს უნდა ერიდოს. გვრის მცხოვრები (საშუალოატატიტიკური მონაცემებით) კალორიების დღიურ მოთხოვნილებას ცხიმებით მდიდარი პროდუქტების ხარჯზე იკმაყოფილებს, მაგრამ სპორტსმენს, თუ ის, მაგალითად, ბირთვის მეკრელოა, ასეთი რამ აზრადაც არ მოუვა. რაც შეეხება, ვთქვათ, ვილომბოლელებს, ნიშნისხმება და ძალისხმევა, მათ კალორიები ორ-სამჯერ მეტი რაოდენობით სჭირდებათ, ვიდრე რომელიმე კანცელარის მოხელეს.

ათქიდელო იურგენ ჰინგენი ყოველდღიურად 7 ათას კალორიას „ხარჯავს“. ამდენი საჭმელი რომ ეჭმად, წვრთნის თავი ნამდვილად აღარ შექნებოდა, ამბობს სპორტსმენი. ამიტომ მისი რაციონის ნაწილს შეადგენენ საკვები კონცენტრატები, რომლებიც შეიცავენ ნახშირწყლებს, აგრეთვე სუფთა პროტეინის კონცენტრატებს უზრუნველსაყოფად. სპორტსმენის „დისერტს“ შეადგენს პოლივიტამინები, მინერალური წყალი.

საკვები კონცენტრატების წარმოებაში საზრდოობს მრეწველობის მთელი დარგი, რომლის საერთო ბრუნვა ათეულ მილიონობით მარკას შეადგენს. თითქმის ყოველ ფირმას ზელშეკრულება აქვს დღე-ღამე ცნობილი სპორტსმენებთან, რომლებსაც, მოლაპარაკების თანხმად, ამ ფირმების პროდუქტების რეკლამირება ევალებათ. ფირმების ხელმძღვანელებს ვარაუდობენ, რომ

კვება და რეპორტაჟი

თავიანთ კერპებს გულშემატკივრები მიჰმადებენ. დარგში ზრდის ტემპი ყოველწლიურად 30 პროცენტს აღწევს. ამგვარი ბუმი ბაზარზე საქონლისათა სულ ახალ და ახალ ნაკადებს იზიდავს.

კვების დარგის სპეციალისტები ევროის თვლით უყურებენ პროტეინის ირგვლივ ატეხილ ხმაურს. სახელწოდება „ამერიკელი დიეტოლოგი, ლექტორი ჰეიესი ამტკიცებს: — ზოგიერთი სპორტსმენი იმაზე ბევრად მეტ ცილებს იღებს, ვიდრე სინამდვილეში სჭირდება. იმის გამო, რომ ორგანიზმი ზედმეტ ცილებს ცხიმად და შაქრად აქცევს და აგროვებს, ამგვარი სიჭარბე ცხინოვანი ქსოვილის დიდი რაოდენობით წარმოქმნას იწვევს.

ჰეიესის აზრით, დღე-ღამეში 40-80 გრამი ცილის მიღება სასებობით საკმარისია. დასავლეთგერმანელი სპეციალისტი პეტერ კონოპკა კი სპორტსმენებს ურჩევს ფართოდ გამოიყენონ პროტეინები, მიიღონ სხვადასხვა პროდუქტი კომბინირებული სახით, მაგალითად, კვერცხი და კარტოფილი, რძე და პური. პარკოსებისა და სიმინდის ნარევი ბიოლოგიურად უფრო სრულფასოვანია ცილებს იძლევა, ვიდრე საქონლის ხორცი, რომელიც არასასურველ ცხიმებსაც შეიცავს.

აბაზის მენიუ

ჩვეულებრივი საოჯახო კვებით სპორტსმენი ვიტამინების მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებს. ჰიგაინის საკითხების კონსულტანტმა როზმარი ბროთერ-მოდერმა დაადგინა, რომ 100 სახის პროდუქტში მხოლოდ ხუთია საჭირო სწორი კვებისათვის. მრეწველობის მიერ დამუშავებული ბევრი პროდუქტი ზონ, მხოლოდ „ცარიელ კალორიებს“ შეიცავს. სპორტული ექიმი კონოპკა სპორტსმენებს ურჩევს რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მიიღონ დაუზუჟებელი და უში პროდუქტი, რადგან ხარისხისა და წვის დროს იკარგება უამრავი ვიტამინი. უფრო ზუსტად, 40-დან (ა ვიტამინი) 90 (ც) პროტეინამდე.

ისმის კითხვა: მაშ რაღაში სჭირდებათ სპორტსმენებს დანა და ჩანაწერი? თეორიულად მათ შეუძლიათ მხოლოდ კონცენტრატებით დაიკმაყოფილდნენ, მინიმალური შეადგინონ მხოლოდ ფუნქციონების, აბიზის, წველებისა თუ სხვადასხვა სუბსტანციისაგან. ერთი შეხედვით, ასეა, მაგრამ ძალისხმეა, რომელიც ზელოვანი კვებით ცდილობს კუნთების გამაგრებას, მაღალ იძულებული გახდება ფარგლები დაეყაროს. მას კუჭის საშაშები დატანჯავს — ბა-

კვება და რეპორტაჟი

ლასტურ ნივთიერებათა ნაკლებობის გამო. ეს ნივთიერებანი არის, პირველ ყოვლისა, ხილში, ბოსტნეულში, სალათაში. არც ერთ ქიმიკოსს არ შეუძლია დამაზადოს ისეთი სრულყოფილი საწვავი რთული და მაღალმწარმოებლური მანქანის — აღმანის — ორგანიზმისათვის, რომ ბუნების მოთხოვნილებანი მთლიანად დააკმაყოფილოს.

ამერიკელი მარათონელი, პროფესორი ქიმიკოსი უილიამ ბუკინიცი ამ აზრისაა, რომ ბუნებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. მან დაამზადა „ნეოპროტეინული სასმელი“, რომელიც ქიმიური შემადგენლობით შესაბამისაა „ორგანიზმიდან ოფლთან ერთად გამოყოფილ სხვადასხვა მინერალურ მარილებს“. საზრიანმა მორბენალმა თავისი „გამოგონება“ მთელ ფეხად აქცია. სასმელი, რომელიც სამრეწველო ფირმებმა ვიტამინებითა და ნახშირწყლებით გააძლიერეს, დიდი მოწონებით სარგებლობს.

რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნივთიერებანი, 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებზე თავის თავზე გამოცდა დაიკისა. როგორც მიიღეს, იმისთვის, რომ მორბენალი ოქროს მედალი არაიპისთვის დაეთმო, მიიღნენმა საუნის „დახმარება“ ერთბაშად სამი კილოგრამი დაიკლო, მაგრამ ორგანიზმმა ოფლთან ერთად სასარგებლო ნივთიერებებიც გამოყო. გარდა ამისა, სპორტსმენი თითქმის არაფერს ჰკმდა. ამგვარად, მან მიიღწია სასურველ წონას, მაგრამ შეტანასთან „გატყდა“. ფეხის კუნთი გაუკადა. სპორტსმენს ოხსნიდა უბრალო მინერალური წყალი ცოტა მეტი მაგნიუმით. შემთხვევითი რთად, რომ ჩოგბურთის პირტუოზი ბორის ბეკერი ერთი მატჩის მანძილზე ნახშირწყლებით, კალუმით, მაგნიუმით და ვიტამინებით გამდიდრებულ ორ ლიტრ წყალს სვამს.

კვების სპეციალისტები პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს ძიებენ სპორტულ გაუთვლილსინებელს სინდრომების წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. მაგალითად, საფეხბურთო კლუბ „ბაიერნის“ ექიმმა ვოლფგანგ მიულერმა, თავის მოთამაშეებს დაუბრუნა ფურცლები ჰეიესის დიეტით. ამ დიეტის მიხედვით „ვეტო“ ადევს ხორცს, კვერცხს, ცხიმსა და მარილს. როცა ეს ამბავი შეიტყო, ერთ-ერთი მოთამაშის ცოლმა გადაჭრით განაცხადა: „არა, ასე არ შეიძლება. ჭრეჭრებით მე ვწყვეტ, რა უნდა ჰქონდეს ჩემი ოჯახის წევრებმა“.

„სპორტ ზა რუპერტ“ № 20.

ნოვორაგია

მოსამოვი. დია საციფურაოზე ჩატარდა სეზონის ერთ-ერთი პირველი შეჯიბრება — ჟურნალისტ ნიკოლოზ კისელიოვის მემორიალი. ქალთა შორის გამარჯვება ლიუდმილა ტიტოვა (ჩელოვინსკი) მოიპოვა — 187,960 ქულა, ვაჟებში — მოსკოველმა იური კლიუევმა — 168,925 ქულა.

კლავიადა. აქ ჩატარდა მეორე საკავშირო ჩემპიონატი სიმძიმეების აწევაში, რომელშიც 104 ძალისანი ასპარეზობდა. 34-მა სპორტსმენმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. შეჯიბრების პროცესში გაუმჯობესდა 17 საკავშირო რეკორდი.

დასავლეთ ბერლინი. წყალბურთელთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თანის პირველი-ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამო“ წააგო ადგილობრივ „შპანდაუსთან“ — 5:10. გასწვრივითი შეხვედრა 29 ნოემბერს მოსკოვში შედგება.

მეხიკო. მრავალდღიანი ევროპის მესამე ეტაპი ლიტველმა ვიარესლავ კევალიოვმა მოიგო. რბოლას კი ჭრეჭერობით მექსიკელი ფეხბურთელი ენრიკესი ლიდერობს.

ოსლო. სათხილამურო სეზონის ერთ-ერთი პირველი შეჯიბრება — 10 კილომეტრზე რბენა მსოფლიო თანის სამგზის მფლობელმა გუნდელ სენამა (შვეიცია) მოიგო — 32.32,1. ქალთა შორის ლეკილო-მეტრიან დისტანციაზე უძლიერესი კარინ თომასი (შვეიცარია) იყო — 22.08.

გარანა და ეთერში

ცანბარალური ტალღები. 25 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საჭადრაკო სკოლა — 12.10 (2); რიტიკული ტანვარჯიში — 20.15 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ნენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (კიევი) — 21.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი პოკეში: ცსკა — „დინამო“ (რია) — 22.45 (2); საკონტროლო მოზრდოებისთვის (გადაცემა მეშვიდე) — „ფეხბურთის მოედნის მიღმა“ — 22.45 (1).

რედაქტორის მოადგილე
თ. გარეჩილაძე.